ომის შუქ-ჩრდილები,
მკვეთრი,
მუქი,
მტკივნეული ფერები,
გაცრეცილი გრძნობების დასტა, დათაკრული ტკივილებისა და მძაფრი შეგრძნებების ნუსხა, რომელიც თანამედროვე და მომავალი თაობების გონებაში მწარედ იკირება და დიდხანს, დიდხანს ემჩნევა ადამიანთა ცხოვრებასა და ფსიქოლოგიას მწარედ ამოშანთული ნატყვიარი..

„ანა ფრანკის დღიურისა“ და „აფხაზი გოგოს დღიურის“ წაკითხვის შემდეგ თვალსაჩინო ხდება ომის თანამედროვე ადამიანის შინაგანი განცდების სიმძაფრე. დროის სიმწარესა და დაძაბულ გარემოებას მკითხველი რეალურად აღიქვამს, თვალს უსწორებს და კიდევ ერთხელ რწმუნდება, რომ ომი მოუშუშებელი იარაა ნებისმიერი ადამიანისთვის. არ აქვს მნიშვნელობა, უშუალო მონაწილე, შემსწრე თუ მსხვერპლია ომისა.

რაც შეგვეხება ჩვენ, ადამიანებს, ფეხდაფეხ დავედევნეთ ომს, ხოლო მისი შედეგები ყოველ წამს გვახსენებენ თავს და ვხედავთ, რომ საკუთარი ქვეყანა ნაწილ-ნაწილ გვეცლება ხელიდან. არანაკლებ მძიმე ასატანია ომის ის ნაკვალევი, რომელსაც ომი ჩვენს ზურგზე ბორკილებად ტოვებს, ბორკილებად და თანამემამულეების სისხლად. ერი იძიძგნება, იხლიჩება, ტყდება ერთმანეთთან საკომუნიკაციო ხიდიც კი და იწყება შიდა დაპირისპირებები, რის გამოც ერთი ოჯახის წევრებიც კი სხვადასხვა ნაპირზე დგანან და ერთმანეთში ღვთის ხატად შექმნილი არსებობა თავისიანს ვეღარ სცნობს. ანა ფრანკი წერდა: „დედასთან უსიამოვნება მომივიდა და ეს უკვე მერამდენედ ამ ბოლო დროს! ჩვენ ხშირად არ გვესმის ერთმანეთის, ვერც მარგოსთან ვახერხებ საერთო ენის გამონახვას..“ საკვირველია შინაგანი განცდები დაძაბული ადამიანებისა, რომლებსაც არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ, გარდა პატარა ოთახში ჯდომისა, რომელიც „ძველმანებით მოვაჭრის საკუჭნაოს ჰგავდა“. განსაკუთრებით რთულია გარემოება, როცა ვერც საჭმელს ჭამ ნერვიულობისგან, ხოლო ანა ფრანკმა აღმოაჩინა, რომ ზამთრისთვის მხოლოდ ერთი კაბა და რამდენიმე ჟაკეტი ჰქონდა..

15 წლის გოგონამ საკუთარი დაბადების დღე ომის შუქ-ჩრდილებს შეატოვა და ცხოვრებას აგრძელებს შიშში, რომ ვიღაც მოუსმენს, გოგონა, რომლის ცხოვრებაც ეს-ესაა დაიწყო, არ უნდა ამბობდეს: „ჯერჯერობით ცოცხალი ვარ და, როგორც მამა ამბობს, მთავარი სწორედ ესაა. დიახ, მე ჯერ კიდევ ვარსებობ, მაგრამ ნუ მკითხავ, სად და როგორ“.

ომის დროს სასოწარკვეთილი ადამიანები მხოლოდ „შუბლში ტყვიის დახლაზე, საპყრობილეზე, ჩამოხრჩობასა და თვითმკვლელობაზე ლაპარაკობენ“. ანა ფრანკის აზრით, „ყველაზე რთულია, მიუხედავად დარდისა და სასოწარკვეთილებისა, გამოიყურებოდე და მოიქცე ჩვეულებრივად. საუბრობდე, ეხმარებოდე, იჯდე მათთან ერთად და, რაც მთავარია, იყო ცოცხალი“. უკონტროლო სიატუაცია პიკს აღწევს, ხალხი ყოველგვარ თაღლითობას მიმართავს, სასოწარკვეთილი ახალგაზრდები იკარგებიან, შესაბამისი ორგანოები ძალას კარგავს და ომის დროს ყველა თანასწორი, მაგრამ უძლურია. „ამ საშინელმა გერმანელებმა იმდენ ხანს გვაწვალეს, იმდენ ხანს ეჭირათ დანა ჩვენს ყელთან, რომ მეგობრებსა და გადარჩენაზე ფიქრიც კი რწმენას გვინერგავს!“ - ამბობდა ანა და ფიქრობდა, რომ ერთადერთი ხსნა ამ დროს ადამიანისთვის, რომელიც თავად ინუგეშებს თავს, სიცილია: -„ყველაფერზე იცინე და ნურავის გაუწევ ანგარიშს!“, რაც შეეხება აფხაზ გოგონას, რომელიც მოზარდობის ასაკიდან ეს-ესაა გამოვიდა და, როგორც წესი, ახლა უნდა იწყებდეს უდარდელ ცხოვრებას, სწორედ ახლა იწყება მისი ცხოვრების სხივის კვდომა და ერთადერთი ნუგეში და საფიქრალი მისთვის არა ახალი ცხოვრება, არამედ ფრონტის მეორე მხარეს დარჩენილი ქართველი ნაცნობების გადარჩენაზე ფიქრია, მისი სატკივარი კი - ქვეყნის შიგნით დაპირისპირება. აფხაზი გოგონა ქართულ ოჯახში გაიზარდა, ქართველი დედა აწოვებდა ძუძუს, ამიტომ არ შეეძლო ალმოდებული ქალაქიდან გამოსვლა. მან იშვილა

დაობლებული ქართველი ბავშვი და ყველანაირად ცდილობდა ქართველების სიკვდილისაგან გადარჩენას. აფხაზი გოგონა წერდა: ,,რომ ვიცხოვრო ორი საუკუნე დღეიდან, არასოდეს არ ამოიშლება ჩემი მეხსიერებიდან ეს დღე. აქ დაიწყო ჩემი ტანჯვა და წამება. ამ დღიდან ჩემს სახეს არ დაკარებია ერთი უბრალო ღიმილიც კი. ყოველ ღამე შიშსა და ლოცვაში ვათენებ დილას.“ როგორც მისი დღიურიდან ვიგებთ, ადამიანები ფიქრობენ, რომ ერთმანეთს არ უნდა დაეხმა–რონ, მეტიც: - „დახმარება კი არა, ამოწყვეტა უნდა მაგათო, -განაცხადეს გადამთიელებმა.” აფხაზი გოგონა გვიყვება უჩვეულო ამბავზე, უკონტროლო სიტუაციაზე, სასოწარკვეთილი ახალგაზრდა ბიჭის შემზარავ თვითმკვლელობაზე, ანუ გზამდე, რომლამდეც ახალგაზრდა სიცოცხლე, რომელიც ბურჯია ქვეყნის, ერისა და მომავლის, სწორედ ომს მიჰყავს. „თემურსა და ნიკოზე კვლავ არაფერი ვიცი. ვერ გამიბედავს საკუთარი გულისთვის მათზე ცუდის ფიქრი. ოო! ღმერთო, შენ დაიფარე ყოველგვარი უბედურებისგან!“ გაბოროტებული ადამიანები საკუთარ თავზე კონტროლს კარგავენ, აფხაზი გოგო მუხანათური ქმედების შემსწრე ხდება. „კარი შევანგრიე. გულამოსკვნით მტირალ გოგონას მახინჯი ხელებით უალერსებდა, ბიჭუნა კუთხეში ზურგით იჯდა და შეშინებული სლუკუნებდა“. - წერს ის, ყველაზე მტკივნეული კი ისაა, რომ პატარა გოგოს ძალებს აღემატება ყველა პრობლემისა და ქაოსური სიტუაციის მოგვარება, რომელსაც, როგორც თავად აღნიშნავს, სამართლიანი ადამი–ანები უსამართლოდ ეწირებიან..

ზემოთხსენებული ნაწარმოებები ჩვეულებრივი გოგონების ყოველდღიურობის არმწერები უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ, თავისდა და ავტორთა უნებურად გახდნენ ისტორიული წყაროები, ომის შუქ-ჩრდილების მატიანენი. ისინი გვიყვებიან ომების შესახებ, რომლებიც სხვადასხვა მიზეზებითა და გარემოებებით მიმდინარეობდა. თუმცა, ორივე მათგანმა დაღი დასვაა მათ ავტორთა ცხოვრებას. მეტიც, იმსხვერპლა ისინი, რის გამოც უსულდგმულო, ერთი შეხედვით უბრალო „რვეულებმა“ იმაზე დიდხანს იცოცხლეს, ვიდრე თავად შემოქმედებმა. ახალგაზრდა სიცოცხლეები სწორედ ომს შეეწირნენ, მოვლენას კაცობრიობის ისტორიაში, რომელსაც ჯერჯე–რობით კარგი არაფერი მოუტანია, მხოლოდ დროებითი დაშოშმინება ერებისა, რომლებიც გარკ–ვეული ხნის შემდეგ ისევ ომს შეეწირებიან..

უგუნური ადამიანები სიმშვიდეს არღვევენ, რათა დაამყარონ მშვიდობა.

დასასრულთან მიახლოება ყველაფერს აჩქარებს. ასევეა ომიც. წლობით ნაშენები ერთ წამში ინგრევა, „აღიგვება პირისაგან მიწისა“, ქრებიან გმირები, რომელთა შესახებ საფლავის ქვებიც ვერაფერს იტყვიან. ჩვენ არ შეგვიძლია წარსულის შეცვლა. ჩვენ ვერ გავაცოცხლებთ გოგონებს, რომელთა სიცოცხლეც უდროოდ შეწყდა. თუმცა, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რა იქნებოდა და მწარე გამოცდილება მომავალში გამოვიყენოთ, ვეცადოთ შევცვალოთ შედეგები. დანაწევრებუ–ლი ტერიტორიები ტერიტორიებად დავტოვოთ და ჩვენი განახევრებული გულები, რომელთა ნაწილიც ჩვენს ქვეყანაში „წარმოსახვით საზღვარს მიღმა“ აფხაზებს ეკუთვნით, ერთმანეთის მხარდამხარ დგომითა და ბრძოლით გავამთელოთ..

არ შეიძლება ქარმა წაიღოს იმ ადამიანთა სახელები, რომლებიც ჩვენი ერთობისთვის იბრ–ძოდნენ, და თუ მათ სახელებს ქარი წაიღებს, ფუჭად მაინც ნუ ჩავატარებთ მათ სიცოცხლეს, რომლებიც ჩვენ შეგვეწირნენ..

ისინი დაიღუპნენ, მაგრამ მათი სიცოცხელე, ფიქრები, ოცნება და ნატვრა ირეკლება ჩემში, შენში, ყველა ჩვენგანში, ვისაც მათ მსგავსად უყვართ საქართველო, აფხაზეთი და სჯერა ჩვენი ხვალინ–დელი ერთიანობისა!

შპს „ბესიკ ნიპარიშვილი“ მრ/პრ სკოლა–გიმნაზიის XII კლასის მოსწავლე – ანი ბუნტური;

2018 წელი